



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ.ოზურგეთი

N 99

31/07/2017

99-03-4-201707311326



ზ რ ძ ა ნ ე ბ ა

გენო ბაბილოძისათვის, ნაკისრი მოვალეობებისაგან განთავისუფლების გარეშე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის კომპიუტერული უზრუნველყოფის, ვებ-გვერდის ადმინისტრირებისა და ინფორმაციის მართვის, საჯარო ინფორმაციის საკითხებში დაკისრების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 3-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 2-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

მუხლი 1. 2017 წლის 1 აგვისტოდან - 14 აგვისტოს ჩათვლით 10 (ათი) კალენდარული დღის ვადით, გენო ბაბილოძეს ნაკისრი ვალდებულებებისგან განთავისუფლების გარეშე დაეკისროს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის კომპიუტერული უზრუნველყოფის, ვებ-გვერდის ადმინისტრირებისა და ინფორმაციის მართვის, საჯარო ინფორმაციის საკითხებში მოვალეობების შესრულება.

მუხლი 2. ამ ბრძანების შესაბამისად, გენო ბაბილოძეს მიეცეს დანამატი ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტის


კომპიუტერული უზრუნველყოფის, ვებ-გვერდის ადმინისტრირებისა და ინფორმაციის მართვის, საჯარო ინფორმაციის საკითხებში თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

მუხლი 3. ბრძანება გადაეგზავნოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა